# ერი

№ 29

წელიწადი მეორე

1914

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 6 თებერ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.


## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ე რ ი“

### ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ ხახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., $1/2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ივანოვის ქუჩა. ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ.

---

სამშაბათს, 4 თებერვალს, ხანმოკლე ავათმყოფობას შემდეგ ქუთაისში გადაიცვალა

## მოსე ათანასესძე ქიქოძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძენი განსვენებულისა ნიკოლოზ და მიხეილ, ასულნი თამარ, ნინო, ბარბალე, ეკატერინე, ალისა, რძალი ელენე ლევანის ასული და ცოლისდა ნადეჟდა ტატიშვილის ასული. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 ს. (საკუთარი სახლი ივანოვის ქუჩა.) გამოსვენება დანიშნულია პარასკევს, 7 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე მოწვევის ბარათები არ იქნება.

---

პავლე გურგენიძე მდივანი და მეუღლე მისი თამარ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი სიმამრისა და მეორე საყვარელი მამის

## მოსე ქიქოძის

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე. საკუთ. სახ. ივან. ქუჩა.

---

ვასილი ივანეს ძე აბრამოვიჩი და მეუღლე მისი ნინო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი სიმამრისა, ხოლო მეორე ძვირფასი მამის

## მოსე ქიქოძის

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე საკუთარ სახ. ივანოვის ქუჩა.

---

ედმუნდ ედმუნდისძე ფრიკი და მეუღლე მისი ეკატერინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი სიმამრისა და მეორე დაუვიწყარი მამის

## მოსე ქიქოძის

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 ს. საკუთარ სახ. ივანოვის ქუჩა.

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ქვრივი ქრისტინე სიმონის ასული, რაჟდენ ნიკოლოზის ძე, ოლღა ნიკოლოზის ასული, ნინო გრიგოლის ასული და ნესტორ დავითის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი უსაყვარლესი ქმრისა, მეორე და მესამე დაუვიწყარი მამისა, მეოთხენი ძვირფასი მამამთილისა და მეხუთე სიმამრისა

## ნიკოლოზ იოსების ძის შავგულიძის

ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 7 თებერვალს, ნაშუადღევის $2^1/_2$ ს. ქუტირის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში; მიცვალებულს გამოასვენებენ გალუშკინის სახლიდან ინჟინრის ქ.; პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 ს.

---

ქვრივი ივდიტორა ვასილის ასული კვიტაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 7-ს ამა თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე ორმოცი დღის პანაშვიდი და გამოტირილი უდროოთ გადაცვალებულის მისის მეუღლის

## გრიგოლ იოსების ძის კვიტაშვილის.

---

ქუთაისის ნაფიც ვექილთა, ამათ თანაშემწეთ და კერძო ვექილთა კორპორაცია ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ 3-ს ამა თებერვალს გადაიცვალა უხუცესი წევრი კორპორაციისა

## მოსე ათანასეს ძე ქიქოძე.

პანაშვიდი გადახდილი იქნება სასამართლოს სადგომში 6-ს ამა თებერვალს ნაშუადღევის პირველ საათზე. დაკრძალვა მოხდება 7-ს თებერვალს საღამოს ოთხ საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე.

---


# „რ ა დ ი უ მ ი“

ხუთშაბათიდან, 6 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა

I.

## პატე-ჟურნალი.

II.

## „სინიდისის ქენჯნა“

ძლიერ შესანიშნავი სურათი თანამედროვე დრამა „მონოპოლი“ 4 ნაწილათ.

ლერი ლერნერის და ფრიდრიხ კაისლერის მონაწილეობით

III.

## კალუჩები და ინსტიტუტკები

(მისი მხიარული თვეა).

კომედია ლუსიზანის მონაწილეობით



## პროგრამას გარდა ახალი ცეკვა „მაქსის“ ჟანგო მაქსლინდერისა.

---

# ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო საავადმყოფო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ა ქ ი მ ე ბ ი თ.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. ამიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | $12^1/_2$ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | $4^1/_2$—$5^1/$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

საავადმყოფოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

საავადმყოფოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

---

# ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

---

1914 წლის 2 იანვრიდან

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

## კანტორა

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

## контора

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

---

**ი ყ ი დ ე ბ ა** კახიანოურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

---

**ა ქ ი მ ი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ა ქ ი მ ი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

---

**ა ქ ი მ ი.** კაკიტელაშვილი. დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან ძ დროებით იღებს ავათმყოფებს საკუთარ სახლში სომხების ქუჩაზე, კათოლიკების ეკლესიასთან.


---

## ი. გედევანიშვილის წერილი.

დღეს ვესალმები ქუთაისს და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მართლა დაუვიწყარი წუთები, რომელიც აქ განვიცადე, არა როგორც ავტორმა,—ამ მხრით ხომ სრულიად დაკმაყოფილებული გახლავართ,—არამედ როგორც ქართველმა ადამიანმა. „სინათლეს“ დღიდან დაბადებისა ბედმა გაუღიმა, პიესამ ყურადღება მიიქცია და ცოტა არ იყოს საზოგადოება აალაპარაკა. ვკადნიერდები და ვამბობ—ამასთანავე მან აღძრა ერთგვარი გრძნობანი და აი სწორედ ეს გრძნობანი გახლავთ ჩემთვის დაუვიწყარი და დაუფასებელი. ეს არის ჩემთვის შეუდარებელი ჯილდო და იგი ბევრათ სჭარბობს ჩემს დამსახურებას.

მიბოძეთ მაშ ნება ულრმესი მადლობა მოვახსენო, ბ-ნო რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშვალებით ყველა იმათ, ვინც ასე უხვათ დამაჯილდოვა და განსაკუთრებით კი ჩვენს ახალგაზდობას, ამ ჩვენს იმედს მომავლისთვის. ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ მათში არა ერთი მართლაც სინათლით მოსილი „ავთანდილი“ აიზდება და სინათლის სხივებს მოფენს ჩვენს დაბეჩავებულს, მაგრამ სულით ძლიერს პატარა ერს!

## ახალი ამბავი.

კვლავ სავსე თეატრი და კვლავ ზეიმით შეხვედრა საზოგადოების მიერ „სინათლის“ ავტორისა. მცირე, მაგრამ გულით მიძღვნილი საჩუქარიც მიართვეს ბ. ი. გედევანიშვილს—ვერცხლის საწერელი კალმით.

✦ 30 იანვარს ქალაქის საბჭომ გუბერნატორის საშვალებით შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე შესახებ იმისა, რომ ქუთაისში არ იქნეს დაწესებული მეეზოვეთა ინსტიტუტი, თანახმათ ნამესტნიკის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა. ამავე დროს ქალაქის მოურავმა თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რომ დროებით, ვიდრე ნამესტნიკიდან პასუხი მოუვიდოდეს, შეაჩეროს სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანა. რადგანაც ბ-ნს გუბერნატორს შეუძლებლათ უცვნია ამ თხოვნის დაკმაყოფილება, საბჭოს მიერ არჩეულმა დეპუტაციამ ნამესტნიკს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

# დღიური.

საიმპერატორო თეატრში პეტერბურგში ოპერა „ლალატი“ წარმოადგინეს. დაესწრო მეფის სახლობა და უმაღლესი წრის წარმომადგენელნი.

— საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს ხდომას ვენეზილოსმა თავისი პოლიტიკური მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა.

— საზღარგარეთის პრესა კოკოვცოვს ქებით იხსენიებს.

— ტრაფალგარში ლონდონის მახლობლათ ქალაქების თანასწორობის მომხრე მამაკაცთა კავშირმა მიტინგი გამართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. შოტლანდიელებმა სთქვეს, რომ თანახმა არიან ქალებმა სრული თანასწორობა მიანიჭონ.

— ბულგარეთის ერთერთ გაზეთში გამოაქვეყნეს ცნობები იმის შესახებ, ვითომც რუსეთის ფულით მოსყიდული არიან ბულგარეთის სახელმწიფო მოღვაწენი.

— ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოებს ეგეის კუნძულის შესახებ საპასუხო ნოტა წარუდგინა.

— სახელმწიფო საბჭოს წევრთ ნოვიცკის, ვებერს და პაკროვსკის ახლების დანიშვნამდი ფინანსის მინისტრის ამხანაგების თანამდებობის ასრულება დაევალათ.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა ასრულებს დაბეჯითებით თხოვნას ქალაქის მცხოვრებლებისას და ქუთაისის გუბერნატორის სახელით შეამდგომლობას აღძრავს თქვენი ბრწყინვალების წინაშე, რათა გაათავისუფლოთ გასული წლის 24 დეკემბრის სავალდებულო დადგენილების ასრულებისგან, რომელიც შეეხება ქუთაისში მეეზოვეთა ინსტიტუტის დაარსებას. ყოვლად შეუძლებელია, მცხოვრებთა მაზარალებელი, ხაზინისა და ქალაქის საზარალო, ასე უეცრათ ამ რთული ინსტიტუტის შემოღება. ვშვამდგომლობთ და გთხოვთ წინადადება მისცეთ გუბერნატორს—შეაჩეროს ამ საქმის სისრულეში მოყვანა, ვიდრე თქვენს წინაშე არ წარსდგება ვრცელი მოხსენებით ამ საქმის შესახებ საბჭოს მიერ არჩეული დეპუტაცია, რომლის მიღებასაც გთხოვთ.

საბჭოს რწმუნებულნი და მცხოვრებთა მიერ არჩეული ხმოსანნი: გუბერნიის წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე, ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, სასახლის კამერგერი თავ. ლორთქიფანიძე, ოლქის სასამართლოს წევრი თავ. მიქელაძე.

✦ ბ. ნ. ნიკოლაძე და ჩვენი ქალაქის თვითმართველობა ვერ შეთანხმდენ მუნიციპალური საქმეების თაობაზე. როგორც ვსწერდით, ფინანსიურმა და საამშენებლო კომისიამ ნ. ნიკოლაძის მიერ წარდგენილს პროექტში ზოგი ცვლილება შეიტანა. ბ-მა ნ. ნიკოლაძემ განაცხადა, რომ მას საკუთარი საშვალება არ აქვს და სახსარი ამ საქმეების მოსაწყობათ ბანკებსა და საამშენებლო საზოგადოებაში უნდა ეწიოს და არც ერთი კაპიტალისტი არ დათანხმდება ამ ცვლილებით შეიწყნაროს ეს პროექტიო და ამიტომ საჭიროთ რაცხს ხელი აიღოს, უარი განაცხადოს.

✦ ქუთ. გუბერნ. თანამდებობის ამასრულებელი მეეზოვეთა ინსტიტუტის დაარსების მომხრეა ჩვენს ქალაქში. საბჭოს დადგენილება, რომ ამ ინსტიტუტის შემოღება სისრულეში არ იქნეს მოყვანილი მის მიერ წარედგინა მეფის მოადგილეს, მაგრამ გუბერნატორი მას (დადგენილებას) მხარს ვერ დაუჭერს.

რაც შეეხება სახლის კარებს, თუ ჭიშკრებზე ფარნების დაკიდებას სახლის პატრონისა, ქუჩისა და სახლის ნუმრის წარწერით ისეთ ქუჩებში, სადაც განათება (керосино калил.) არ არის, ეს აუცილებელი საჭიროებაა და გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქ. თვითმართველობას ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას დაუყონებლათ შეუდგეს.

✦ ლეონ პეტრეს ძე კოკოჩაშვილმა და მისმა მეუღლემ სოფიო ფორტუნატის ასულმა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილებას 25 მანეთი შესწირეს ნაცვლად გვირგვინისა განსვენებული მოსე ქიქოძის ცხედარზე.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოებამ მიიღო შემდეგი შემოწირულობა; ლეჩხუმელ მენდალოსანთაგან 20 მან. ნაცვლად გვირგვინისა განსვენებული კნ. გელოვანის მეუღლის ცხედარზე; 30 მან. ქუთ ეპარქ. ქალთა სასწ. ის მასწავლებელთა კორპორაციისაგან ნაცვლად გვირგვინისა განს. ნატ. ქორქაშვილის ასულის ცხედარზე და 1 თუმანი ბ. ბიკ. ასათიანისაგან. საზოგადოების გამგეობა მადლობას სწირავს შემომწირველთ.

✦ ცნობილმა მოგზაურმა და მხატვარმა სტ. უვაროვმა მშვენიერებასა და ხელოვნების შესახებ წაიკითხა ლექციები სათავადაზნაურო გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სოხუმში გიმნაზიის გახსნა განუზრახავს და ამის შესახებ შეკითხებია იქაურ ქალაქის საბჭოს. საბჭოს დაუდგენია ორი ათასი ოთხკუთხი საჟენი მიწა მისცეს ქალაქის შუაგულში და წლიურათ 18 ათასი მანეთის დახმარება.

✦ თფილისის გუბერნატორმა ნება დართო რაზუმოვსკისას გამოსცეს თფილისში რუსულ ენაზე „ამიერ კავკასიის საქორწინო გაზეთი“.

✦ კავკასიის მეფის მოადგილის საბჭომ მოისმინა ბაქოს გუბერნატორის შეამდგომლობა, რომ საერობო თანხიდან ხუთი ათასი მანეთი გადადებულიყო ბაქოში სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის გამოფენის მოსაწყობათ და დაადგინა: ჯერ გადაიდვას ორიათასი მანეთი, ხოლო შემდეგ, როდესაც ამის საჭიროება იქნება, სამი ათასიც.

✦ თფილისში მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიას დაუდგენია: აღძრას შეამდგომლობა, რომ პოლიტეხნიკუმის დირექტორათ აქიდანვე იქნას მოწვეული ისეთი პირი, რომელსაც პოლიტეხნიკუმის შენობის აგების დროს სარგებლობის მოტანა შეეძლება და სთხოვონ ქალაქის გამგეობას, რომ პოლიტეხნიკუმის მხარეზე მდებარე სასაფლაო ახლავე გააუქმოს.

✦ 4 თებერვალს თფილისში დაასაფლავეს ბორის ესაძე.

## „სინათლე“

(შთაბეჭდილება)

ეს ოთხი-ხუთი დღეა, ჩემს სიამოვნებას საზღვარი არ უჩანს...

თეატრის კასასთან ხალხს ვხედავ... ხალხს რომელსაც ტკბილი ნატვრის ღიმილი უკრთის სახეზე და ამ ნატვრის მოუთმენლობაც ეტყობა...

ყველას უნდა ხელოვნების ჯადო იგემოს, დასტკბეს სილამაზით, სიმშვენიერით... მას ისიც ერთვის, რომ ეს ხელოვნება, ეს სიმშვენიერე ეროვნულ ნიადაგზეა წარმოშობილი... ჩვენი მწერალი, ჩვენი რეჟისორი, ჩვენი მსახიობები...

გედევანიშვილი და შალიკაშვილი, აი, ეს ორი სახელი, რომელიც დღეს ყველას იმედს უბადებს, ყველას სიამოვნებასა გვრის... და, მართლაც, ჩვენს სცენაზე და დრამატურგიაში ესენი ახალი შკოლის შემქნელები არიან.

,,სინათლე'' ახალია... ახალია მით, რომ იგი ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებას შეხვდა, დააკმაყოფილა...

მოსწყინდა ხალხს დრამა, ტირილი, უძეროული და უშნო ოხუნჯობა... მოსაწყენი და მოსაბეზრებელიც შინ და გარეთ ტირილი და ცრემლები...

ფანტაზიამაც უნდა გაშალოს ფრთები... სილამაზე და სიმშვენიერეც—ეს კაცის არსებაში ბუნებრივათ ჩანერგილი თვისებანი—უნდა ამოსკდენ ზევით, უნდა ვიხილოთ იგი...

„სინათლე“ ნაყოფია აღმოსავლეთის ფანტაზიისა, იგი ჩვენი გრძნობა და ღვიძლი შვილია...

მეფე და მისი შვილი, ძლიერნი კარისკაცნი, თვალწარმტაცი ბუნება და ალაგ მისი საშინელება, ქაჯნი და ბოროტი სულნი, და სიმართლის, სიკეთის ნათელი სვეტიც ხომ ჩვენი სისხლის ჩქეფაა, ჩვენი ბუნებაა, ჩვენ ამ ზღაპრებით გავიზარდეთ...

გედევანიშვილმაც სწორეთ ამისთანა ლამაზი ზღაპარი გვაჩუქა, შალიკაშვილმა კი მას ხორცი შეასხა, ფეხები ერთმანეთს შეუხამა, სიმფონიათ აქცია იგი და ეროვნულ სცენას ერთხელ კიდევ სიცოცხლე აგრძნობია...

ეს პიესა არათუ ჩვენში, არამედ სხვა დიდსა და რუსულ სცენაზეც კი დიდს ფუროორს მოახდენდა. იგი ბევრათ უფრო ლამაზია თავის დროზე სახელმოხვეჭილ „ლურჯ ჩიტზე“—Синяя птица“.

აქვე გულის ტკენით უნდა აღვნიშნო, რომ ამ „ლურჯი ჩიტის დამდგმელიც“ ჩვენი თანამემამულე კ. მარჯანიშვილია და რომ ისიც აქ, ჩვენში იყოს, რომ ჩვენს სცენასა და ჩვენ შეგვეძლოს, საზოგადოთ, ყველა ჩვენი ნიჭიერი მწერალ-მსახიობების შენახვა, რომ ჩვენ შეგვეძლოს აღმოჩენილი ნიჭის გზის მიცემა მატერიალური დახმარება—უფრო ძლიერათ წავიდოდა წინ ჩვენი სცენა, ჩვენი მწერლობა, კულტურა...

გზა მივსცეთ სინათლეს და კვლავ ბევრი გვეყოლება ერისთავები, შალიკაშვილები, გედევანიშვილები. მათ მხარს დაუმშვენებენ ჩვენი სცენის სხვა მოღვაწენიც და სამშობლო მწერლობა ფრთებს გამოისხამს.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმერეთის სამღვდელოების საგულისხმოთ.

დიდს როლს ასრულებდა ძველათ ქართველი სამღვდელოება. ის ხალხს ყოველგვარ დახმარებას უწევდა, მის ჭირსა და ლხინს იზიარებდა. ცდილობდა თავისი სულიერი შვილების სულიერსა და გონებრივ გაფაქიზებას და მზათ იყო სხვერპლათ თავი შეეწირა. ამის მაგალითი ჩვენს ისტორიაში ბევრი მოიპოება. ხშირათ, ძალიან ხშირათ, როცა ერი მტრებისგან გაჭირებაში ჩავარდებოდა სულიერი მამები მას იწვევდენ სამშობლოს გასათავისუფლებლათ და ჯვრით ხელში ჯარს წინ მიუძღოდენ. იცოდა ეს ძველათ ქართველმა ერმა და თავის სულიერ მამებს ყველაფერში ნდობას უცხადებდა. ხალხსა და სამღვდელოებას შორის მჭიდრო კავშირი იყო.

დღეს კი ჩვენი სამღვდელოების უმრავლესობა სულიერათ დაკნინდა, დალაჩრდა, უფროსის თვალში ამაღლებისთვის ქედმოხრილია და მხოლოდ და თავის პირადობით არის დაინტერესებული.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების უკანასკნელ კრებაზე, ჩვენს სულიერ მამებს უნდა ემსჯელა სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვაზე, თავჯდომარეს წინადადებაც მიეცა გაერჩიათ სამი თვალსაჩინო საკითხი: ა) ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ბ) ალავერდის კათედრის აღდგენა და ყველგან ქართველ ეპარქიებში ქართველი ეპისკოპოზების დანიშვნა და გ) ჩვენი უკანონოთ დასჯილი ეპისკოპოზები და არქიმანდრიტის ამვროსის სამშობლოში დაბრუნება. ეს საკითხები, როგორც მკითხველი ხედავს, მეტათ საგულისხმოა და საჭირბოროტოც. სამღვდელოებას უფლება აქვს იმსჯელოს ამ საკითხებზე, შეუძლია მოითხოვოს ის ისტორიული უფლებები, რომელიც საქართველოს ეკლესიას ეკუთნის, რადგან მან ეს უფლებები მიიღო არა კერძო სახელმწიფოს სასულიერო დაწესებულებებიდან, არა ძალით, არამედ იმ წმიდა მამათა მეექვსე მსოფლიო კრებიდან, რომელშიც მისმა წარმომად-

## გიგლა ფუჩეჩაშვილი.

დიდიხნის წამებას შემდეგ ბილო სიმწიფის მოწმობა და სტუდენტის ტუჟურკით დაიშვენა მხარბეჭი გიგლა ფუჩეჩაშვილმა.

თვალებს არ უჯეროდა დედამისი და სამ-ოთხჯერ შეატრიალ-შემოატრიალა, როდესაც პირველად ეჩვენა სტუდენტათ გამოწყობილი გიგლა.

— ნუთუ გუშინდელი პატარა, ცუგრუმელა გიგლა ხარ, შვილო, შენ დაგენაცვლოს დედა; ნეტავი ულვაშები მაინც გქონდეს გამართული, რომ კაცათ ჩაგთვალოს ვინმემ!

ელერსებოდა სიხარულით თავბრუდასხმული დედა და არ იცოდა, რა ექნა და როგორ მოსიყვარულებოდა თავის „ბიჭიკოს.“

— შვილო, გიგლა, დღესვე ჩამოიარე და ყველა ნათესავები ინახულე, პირველათ დეიდაშენთან მიდი და გაახარე მოხუცის გული...

ყველა თითებზე ჩამოუთვალა, ვისთანაც უსათუოთ უნდა მისულიყო გიგლა.

თან სადღაც ცხრაკლიტულში, ქმრის ჩუმათ გადამალული წითელი თუმნიანი გამოძებნა და ხელში ჩაუდვა „უყიდე მოწაფეს,“ ან უკვე დავაჟკაცებულს, რომ სირცხვილი არსად ეჭამა.

—

დედმამის ერთა შვილი იყო გიგლა: ცხრა შვილში მხოლოდ ის ერთი შერჩათ და ღმერთს შენატროდენ:

— როდის გაგვახარებს, როდის იქნება, რომ ჩვენი გიგლაც ადვოკატი გამოვა და იმდენი მსაჯულებისა და სატორგო საქმეებზე დამსწრე ხალხის წინ თავისუფლათ და წარბშეუხრელათ სამოთხ საათს ილაპარაკებს; ბრალდებულთ გაამართლებს, ჭირისუფლები იქვე ხელებს დაუკოცნიან და გიგლას კი ნიჩბით საზვეტი ექნება ფულები!?

თუმცა ვექილობამდი ჯერ კიდევ ბევრი უკლდა, მაგრამ გიგლას მშობელნი სრულიად დარწმუნებული იყვენ, რომ ძნელია გიმნაზიის დასრულება, თვარა ვექილობა თავისით მოუვიდოდა მათ შვილს.

მათს ასეთ იმედს ფრთებს ისასხამდა, რომ გიმნაზიაში კარგათ სწავლობდა გიგლა, ერთი პირველი მოწაფეთაგანი იყო.

მხოლოდ ერთი შემთხვევა ახსოვდათ, რომ მეოთხე კლასში ყოფნის დროს „ერთი“ დაუწერა გიგლას ლათინური ენის მასწავლებელმა და ეს არც თვით გიგლას და არც ამხანაგებს გაკვირებიათ.

თითოეულმა მოწაფემ ძლიერ კარგათ იცოდა, რომ ლათინური ენის მასწავლებელი ბ. კისი ალკოგოლიკი იყო, ქალალდის მოთამაშე და ოჯახში თუ უსიამოვნება რამ შეემთხვეოდა, უსათუოთ მოწაფეზე უნდა ეყარა ჯავრი... თუმცა გულით არ იყო ბოროტი და მეორემესამე გამოძახების დროს „ერთს“ „ოთხათ“ გადუსწორებდა ხოლმე; ამიტომ მაინცადამაინც მნიშვნელობას არ აძლევდენ ბ. კისის „ერთს.“

აი, მაშინაც, როდესაც გიგლას დაუწერია ,,ერთი,'' თურმე წინაღამეს კლუბში ქალალდი ეთამაშა და წაეგო; გაბრაზებული არყით დამთვრალიყო, ცოლს, რასაკვირველია, ესაყვედურებია ჯერ ერთი გვიან დაბრუნება და ისიც გალეშილი...

მეორე დღეს გიგლაზე იყარა ჯავრი და ის იყო მიზეზი, რომ ,,ერთი'' დაუწერა.

—

გიგლას მამა უკვე ხანში შესული კაცი იყო, კანცელარიაში მსახურობდა არქივარიუსათ ღ 4 თუმნამდი ეძლეოდა თვეში. გაჭირვებით დაასრულებია გიგლას გიმნაზია და ახლა კი სტიპენდიის იმედი ქონდა, მაგრამ ამაოთ. ცოამ უნაყოფოთ ჩაიარა და ასე იქნებოდა თუ ისე, საკუთარი ხარჯით უნდა გაესტუმრებია უნივერსიტეტში პირველ წელს მაინც და შემდეგისათვის კვალად იმედი ქონდა.

თავისი მცირე ჯამაგირიდან რაღაც გროშები მაინც ქონდა შემონახული გიგლას მამას შავი დღისთვის; თითოორ ორ მანეთობით მოუყარა თავი სულ მცირე თანხას, რომ სამარხოთ დასამარხი არ გამხდარიყვნენ ცოლქმარი... ახლა კი ისე დადგა საკითხი, რომ ამ თანხას მოუახლოვდა აღსასრულის დღე, თითონაც უნდა მოეკლოთ ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა და შვილი გამოეზარდათ; მათაც უნდა დარჩენოდათ მემკვიდრე, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც აწირვიებდა და ღმერთს შევედრებდა მათი სულის დამკვიდრებას, „სადაც მართალნი განისვენებენ“.

——

მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში ყველა გიმნაზია ახლათ დასრულებულებმა გასწიეს საუნივერსიტეტო ქალაქებში. გიგლაც უნდა წასულიყო სულ მალე...

მამა მისმა ოთხი დღით ადრე გამოიტანა შემნახველი კასიდან მთელი სიცოცხლის ნაღვაწი და ყოველ დილა-საღამოს ითვლიდა და უკანასკნელათ სტკბებოდა მათი ცქერით... შესაძლებელია, ამდენი ფულების ნახვასაც კი ველარ შევესწრო ჩემს სიცოცხლეშიო...

29 მარიამობისთვეს მშობლებმა გამოაწყვეს სანუკვარი შვილი და გაამგზავრეს მათთვის სრულიად უცნობს ქალაქ—მოსკოვში, რომლის მხოლოდ სახელი გაეგონათ—სხვა არაფერი. წარმოდგენა არ ქონდათ რა გავლენასაც იქონიებდა დაბაში აზდილ ჭაბუკზე ჩრდილოეთის ჰავა და მის ფსიქიკაზე ეს ბუმბერაზი ქალაქი.

სახლში, გზაში, თვით მატარებლის წასვლამდი ორივე ცოლ-ქმართ გიგლას დარიგების მეტი არა გაუკეთებიათ რა.

ურჩევდენ, ისე გულმოდგინეთ და ბეჯითათ ემეცადინა, როგორც გიმნაზიაში, არავითარ გაფიცვებსა და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში არ მიეღო მონაწილეობა.

— ჯერ ისწავლე, შვილო,—გულამოსკვნილი ეუბნებოდა მამა, ჯერ კურსი დაასრულე, კაცი გახდი და საზოგადოების სასარგებლოთ მუშაობას შემდეგშიც მოესწრები; ჯერ დავაჟკაცდი, შვილო, აზრით, გონებით, გამოცდილებით და შემდეგ სრულიად დამოუკიდებლათ შეგიძლია გამოხვიდე საზოგადო ასპარეზზე სამუშაოთ; მანამდი კი, ვიდრე მოსწავლის სახელს ატარებ, ისწავლე და ისწავლეო...

თვალებზე ცრემლ მორეული დედა კი იმას ევედრებოდა, რომ ისეთს ვისმე არ გადაკიდებოდა უცხო ქალაქში, რომლის ენაც მას არ გაეგებოდა და უსათუოთ ჩვენებური ქალი შეერთო, თუ ასეთი ნაბიჯი მოელოდა უნივერსიტეტის დასრულებამდი.

დალოცეს, მშვიდობის მგზავრობა უსურვეს და გაისტუმრეს...

რამდენჯერმე მომაკვდავივით ამოიგმინა და თვალთ მოეფარა მატარებელი და თან გაიტაცა ფუჩეჩაშვილების უკანასკნელი ნუგეში, მათი თვალის სინათლე, იმედი, მათი სიცოცხლე.

მატარებელი წავიდა, მაგრამ ორივე ცოლქმარი მაინც დიდხანს იდგენ ქანდაკებასავით გაჩერებული სადგურის ბაქანზე და სიტყვის თქმას ვერ უბედავდენ ერთმანეთს, რომ გრძნობას არ ეფეთქა და ტირილი არ მოერთოთ.

ოც წელიწადს გვერდიდან მოუშორებელი ღვიძლი შვილის იმ სიშორეზე გაგზავნა უჭირდათ.

სახლში მწარე ფიქრებს მიეცენ.

არც გიგლა გრძნობდა თავს უკეთესათ, მესამე კლასის ვაგონის ერთ კუთხეში ყრუთ იჯდა, ფიქრს მისცემოდა, რაღაც დარდი აწუხებდა, ბოლომ შემოსწოლოდა.

ნათლათ ვერ წარმოედგინა, რა გავლენასაც იქონიებდა მასზე ქალაქი, უნივერსიტეტი, ახალი ცხოვრების დაწყება... სულ უცხო ქვეყანაში.

მატარებელი კი თანდათან აცილებდა სამშობლო მხარეს, ჯერ კიდევ წვანით შემოსილ ველ-მინდვრებს, მთებს... ერთიორი და თვალუწვდენელი უდაბნოს მეტი აღარ გამოჩნდებოდა-რა.

აგერ უკანასკნელი სადგურიც გამოჩნდა, რომელიც მის სამშობლოს საზღვრათ ითვლება. გიგლა სადგურზე გადმოვიდა და უკანასკნელათ ისუნთქა მშობელი ჰაერით... გული მოიბრუნა.

გიგლას გაახსენდა ოჯახში გატარებული ბავშობა; მოიგონა, როგორ თავს ევლებოდენ დედა, მამა და ყველა მათი ნაცნობ-მეგობრები. იქ კი, გარკვეულათ არ იცოდა, რა მოელოდა.

მართალია, რამდენიმე ამხანაგი ეგულებოდა უნივერსიტეტში, რომელთაც მასთან ერთად დაასრულეს გიმნაზია, მაგრამ ისინი მატერიალურათ უზრუნველყოფილი იყვენ, მარიამობისთვის პირველ რიცხვებშივე გაემგზავრენ, რომ დროით მოწყობილიყვენ და აბა ასეთებს რა ექნებოდათ საერთო ნახევრათ მშიერ გიგლასთან!

რა ექნებოდათ საერთო იმ ხალხს, რომელთაც თვეში 50—60 მანეთი მოსდიოდათ გიგლას 20 მანეთიან ბიუჯეტთან.

სასოწარკვეთილებაში მაინც არ ჩავარდნილა და რაღაცის იმედი ულვივოდა გულში.

თუ ხანდახან მიეცემოდა მწარე ფიქრებს, ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ სულით მარტოობა არ ეგრძნო, სული არ დაავათმყოფებოდა და ამის სანუგეშოთაც ის ქონდა და ისევ გამხნევდებოდა, რომ იქ იქნებოდენ იდეალებით, ბრწყინვალე მომავლით გატაცებული და ასეთებთან კი არც მას გაუჭირდებოდა... ერთადერთ ნუგეშათ ეს ქონდა.

* *
*

გიგლა უკვე უნივერსიტეტშია და გულმოდგინეთ მეცადინეობს, არცერთ ლექციას არ აცდენს. თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებს. ჯერ არ ჩაუძირავს ახალგაზდურს, წმინდა სტუ-

# „სინითლის“ ავტორს

### ი. გედევანიშვილს.

სასოება გულს დამექდო, ავეკმიე ფიქრის ყვავილს,
თმებს ავაჭერ ოქროს სხივი, მზის ცელქ ტანზე კდემით აშლილს.
ვეამბორე, მთვარის ღიმილს, ცის გულ-მკერდზე ვერცხლათ გაშლილს,
დავეწურე ციურ ალერსს, ყვავილებზე ნამათ დაშლილს.
შორს ტბის ჩქერში გედს ფრთის ფიფქზე ავაწურე სინარნარე,
განვეშორე სოფლის ზრახვათ, და მით სული ვაზიარე...
ფაზისი სჩქეფს, ვერცხლის შხეფებს ამსხვრევს, არხევს ვერცხლის მტვერს ყრის,
სიო ნელი, ნგრეულ ტაძართ, განახლების ნანათ უქრის...
„ნათლის ღმერთებს“ ხსნის სიმბოლოთ, დაუხსნია „ავთანდილი“
-ბრუნდება დედის ძუძუს, მრავალ ომებ გადახდილი.
ჩირაღდანით სძლევს გველეშაპს, მშობლებს გულში ჩაეკვრება...
დედის ცრემლი ტკბილ ნანინათ სულის სიღრმეს ჩაუწვდება...

**ლადო მაჭავარიანი.**

---

გენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რა მოხდა?..

კრებამ არცერთ ამ საკითხზე არ იმსჯელა, ყველაზე წაიყრუა... და ეს წაყრუება ასწორეთ, რომ ჩვენს სასულიერო წოდებას ფეხიდან ნიადაგს აცლის და იმ მნიშვნელობას უკარგავს, რა მნიშვნელობაც სამღვდელოებასა და ხალხს შორის იყო ოდესმე განმტკიცებული.

პირადათ ჩვენ რა აზრისაც ვართ ამ მნიშვნელობის თაობაზე—ეს სხვა საკითხია... ხოლო, რაკი ფაქტი არსებობს, წოდება მოვალეა ანგარიში გაუწიოს მას და გულით მოეკიდოს ასეთ საჭირბოროტო საქმეებს.

**სერგო გერსამია.**

# რუსეთი.

**გორემიკინის პროგრამა.** მინისტრთა საბჭოს ახალი თავჯდომარის გორემიკინის შესახებ „რუსკოე სლოვოში“ ასეთი ცნობაა დაბეჭდილი: გორემიკინის შეხედულებ ცნობილია, ის გამორკვეული პიროვნებაა. ეს შეხედულება ახლა ცოტათი შეიცვალა და დღევანდელ მდგომარეობას შეურიგდა. მისი შეხედულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ასეთია: შეცდომა იყო, როდესაც საარჩევნო კანონის შემუშავებამდი, საერობო კრება არ მოიწვიეს. სათათბირო რაკი არსებობს, მისი არსებობა უნდა შევიწყნაროთ. სათათბიროს მოღვაწეობა უნდა შევუთანხმოთ მთავრობის მოღვაწეობას, და მთავრობისა—სათათბიროს. თუ არსებობს 17 ოკტომბრის მანიფესტი, უნდა მივიღოთ ყოველი ღონისძიება ამის ცხოვრებაში გასატარებლათ. საგარეო პოლიტიკაში გორემიკინი საფრანგეთთან კავშირის მომხრეა. ინგლისს გორემიკინი გულცივათ ეპყრობა და ამბობს: რუსეთის პოლიტიკა ყველაფერში უნდა ეთანხმებოდეს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკასო. გორემიკინი არც გერმანიის მომხრეა. ბოსნიის ანექსიის დროს ის გერმანიის წინააღმდეგ წავიდა. გორემიკინი დიდი ყურადღებით ეკიდება მახლობელი აღმოსავლეთის საკითხს და ამბობს: რუსეთმა აქ უნდა გაატაროს თავისი პოლიტიკაო. გორემიკინის თვისებას შეადგენს სიწყნარე და აუღელვებლობა. მისი მოთმინებიდან გამოყვანა თითქმის შეუძლებელია. ის ერთგვარი ხალისით ეკიდება ყველაფერს, მას ცხოვრება უყვარს ისეთი, როგორიც არის. ცხოვრების შესახებ ფილოსოფოსობა სძულს. ცხოვრება, დე, ისე წავიდეს როგორც მიდის, აი მისი ლოზუნგი. ის ამ თანამდებობაზე პირველი სათათბიროს დროს 70 დღეს იყო და ამბობენ, რომ ორასი დეპეშა გუბერნატორებისაგან მოსული არ გაუხსნიაო.

**მონასტრების ქონება.** „უტრო როსიიში“ დაბეჭდილია იმის შესახებ ცნობა, თუ მოსკოვის რომელ მონასტერს რამდენი მანეთის ქონება აქვს. ჩუდოვის მონასტერს ქონია 789700 მანეთის ქონება; პოკროვსკისას—603,200 მანეთის; ანდრონიევის—307,800 მანეთის; დანილოვის—300,300 მანეთის; ბოგოიავლენსკის—130,100 და სხვა. სულ მოსკოვის ქალებისა და კაცების მონასტრის ქონება 4,279,400 მანეთს უდრის.

**გორემიკინი.** ახლათ დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე გორემიკინი თავის თანამდებობის ასრულებას უკვე შეუდგა. 31 იანვარს გორემიკინმა მიიღო მინისტრთა საბჭოს კანცელარიის უფროსი პლევე და მინისტრთა საბჭოს მიმდინარე საქმეებს გაეცნო. გორემიკინთან დიდძალი მნახველები მიდიან მისალოცათ. ერთ-ერთ სტუმარს უთქვამს: თქვენ მემარჯვენეები თავის მინისტრათ გთვლიანო. გორემიკინს ამაზე ხელი ჩაუქნევია და უთქვამს: მინისტრი პირველ ყოვლისა პარტიების გარეშე და პარტიების მაღლა უნდა იდგესო. ამბობენ, გორემიკინი ძალიან დაახლოვებულია შინ. საქ. მინისტრთან მაკლაკოვთანო. იმასაც ამბობენ, რომ გორემიკინის დანიშვნას შემდეგ საზონოვი სამსახურს თავს დაანებებსო. გორემიკინი საგარეო პოლიტიკის შესახებ საზონოვის შეხედულებას არ იზიარებს. საზონოვი თუ გავიდა, მის ადგილზე ასახელებენ გირსსა ან გარტვიგს.

**კასო.** კასო უარყოფს გავრცელებულ ხმებს, ვითომ ის სამსახურიდან გადიოდეს. „რუსკოე სლოვოს“ გაუგია, რომ კასო დარჩება სახალხო განათლების მინისტრათ, მაგრამ არა დიდიხნით. ის სამსახურს თავს დაანებებს მაშინ, როდესაც მის შესახებ გავრცელებული ხმები მიყუჩდებაო. დეპუტატებმა სთხოვეს კრუპენსკის—შეეკითხე კასოს, გადის თუ არა სამსახურიდანო. კრუპენსკის კასომ უპასუხა—ვრჩებიო. პეტერბურგში ყველა დარწმუნებულია, რომ თუ კასო სამსახურიდან გავიდა, მის ადგილს სინოდის ობერპროკურორი საბლერი დაიჭერსო.

# უცხოეთი.

**ოსმალეთი.** ახალგაზდა-ოსმალები ფლოტის გაძლიერებლათ დიდი ხალისით კრებენ ფულს. ფულის შემკრები აგენტები დადიან ქუჩა ქუჩა და დაატარებენ ყულაბებს. მათ შეხვდება ადამიანი ყავახანაში, ქუჩაში, მატარებელში, გემში და სხვაგან. აგენტები შემომწირველთ დიდი ყურადღებით ათვალიერებენ. ვინც ყუთში ცოტა ფულს ჩააგდებს, მას ათვალისწინებული უყურებენ და ამბობენ: პატრიოტული გრძნობა არ აქვსო. აგენტები შედიან თეატრში და ყოველ მოქმედების შემდეგ ხალხს წინადადებას აძლევენ ფლოტის სასარგებლოთ ფული გაიღეთო. გაზეთებში ხშირათ არის ასეთი ცნობები: მცხოვრებმა ამადამ ქალაქისამ შესწირა ამდენიო, მოხელემ ერთი თვის ჯამაგირი გაიღოვო და სხვა.

**ინგლისი.** ლონდონში ოტომანიის ასოციაციამ მიტინგი მოახდინა, სადაც ბრიტანიის პოლიტიკა ოსმალეთისადმი სამტროთ მიმართული დაგმობილ იქნა. მიტინგზე ილაპარაკა ამ ასოციაციის გამოჩენილმა წევრმა კოკსიმ. მან სთქვა: გრეის პოლიტიკა მთელს რიგ შეცთომებზეა აშენებული. ედუარდ გრეის მინისტრათ გახთომას შემდეგ ინგლისის პოლიტიკა რუსეთის მხარესაა. რუსეთს აუძლურებენ და მით ხელს უწყობენ, რომ რუსეთმა ოსმალეთი გადაყლაპოს ამგვარათვე პოლიტიკას აწარმოებს გრეი სპარსეთისა და ჩინეთის მიმართ. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც და აღნიშნეს, რომ ინგლისმა ინდოეთში 60 მილიონი მაჰმადიანის ნდობა დაკარგა ოსმალეთთან ცუდი დამოკიდებულების გამოო.

**ლონდონის ვაჭრები.** ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა კრება გილდგოლში, რომელსაც დაესწრნენ ლონდონის შეძლებული კლასის წარმომადგენლები და იმსჯელეს ფლოტის გაძლიერების შესახებ. ამ კრებას უმთავრესად ლონდონის ვაჭრები დაესწრნენ, იყვნენ აგრეთვე სანავოსნო საზოგადოებების წარმომადგენლებიც. ყველა დამსწრემ საზღვაო შეიარაღების სასარგებლო აზრი გამოსთქვა.

**ავსტრია.** სამი დღეა ლვოვში უმუშავერთა ბრბო ფურნეებს არბევს და პური გააქვს. უმუშავრები ახდენენ აგრეთვე დემონსტრაციას. არეულობას ახდენენ ავსტრიის სხვა ქალაქებშიც. ვენაში ორიათასმა მუშამ სოციალდემოკრატების ხელმძღვანელობით დემონსტრაცია მოახდინა.

**რუმინია.** ვენეზილოსმა და პაშიჩმა დაითანხმა რუმინიის მთავარი მინისტრი ბრატიანი, რომ რუმინია შეკვროდა კავშირით საბერძნეთსა და სერბიას. რუმინიის მეფემ ეს გადაწყვეტილება არ მიიღო და განაცხადა: რუმინია დამოუკიდებელი უნდა იყოსო.

**არეულობა იაპონიაში.** იაპონიაში 28 იანვარს მოხდა მიტინგი, რომელსაც 20 ათასი კაცი დაესწრო. გამოიტანეს რეზოლუცია და მოითხოვეს სამრეწველო გადასახადის გაუქმება. მიტინგის გათავების შემდეგ, ბრბომ მოინდომა დეპუტატთა სახლების დარბევა, მაგრამ პოლიციამ გაფანტა.

**შვეცია.** ოთხი ათასი სტუდენტი პროფესორების თანხლებით მივიდა შვეციის მეფესთან და სიტყვით მიესალმენ. მეფე აცრემლდა და სტუდენტებს უპასუხა.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაიწყო ბიუჯეტის განხილვა. ბიუჯეტის განხილვა ცოტა დაგვიანებით დაიწყეს და ამის გამო მისი განხილვის დასრულებას ძალიან იჩქარიან. ბიუჯეტზე საზოგადო მსჯელობა არ იქნება და დეპუტატის სალაპარაკო დრო 15 წუთით განსაზღვრეს.

**ინგლისი** სიტში ფინანსისტ-კონსერვატორებმა მიტინგი გამართეს და იმსჯელეს იმის შესახებ თუ როგორ დაეხმარონ ჩერჩილის საზღვაო პროგრამის გაფართოებაში. ორატორები თავგამოდებით იცავდენ ფლოტის გაძლიერების საჭიროებას და ლაპარაკობდენ პატრიოტულ გრძნობებზე. მიტინგში მონაწილენი მართალია სხვილი ფინანსისტები არიან, მაგრამ მათ რეზოლუციას მაინც არაფერი მნიშვნელობა არ აქვს.

**ინგლისი და მისი კოლონია.** ინგლისის პრესაში ცნობა იყო იმის შესახებ, რომ სამხრეთ-აფრიკის მეფის მოადგილე გლადსტონი სამსახურიდან გადისო და ეს ამბავი გენერალ ბოთას მოქმედებასთან არის დაკავშირებულიო. გლადსტონის სამსახურიდან გასვლას ასკვიტის მოთხოვნილების დაკმაყოფილებად სთვლიანო.

**შვეცია.** შვეციის მეფესა და მინისტრთა კაბინეტს შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. მეფეს ასეთი ულტიმატუმი დაუყენეს: ან შეიწყნარე კაბინეტის გადადგომა და ან სამი დღის განმავლობაში გლეხთა დეპუტატსადმი თქმული სიტყვა შესცვალეო. რიკსდაგში დეპუტატებმა მეფის წინააღმდეგ აშკარათ ილაპარაკეს.

— 30 ათასმა სოციალდემოკრატმა დემონსტრაცია მოახდინა, მივიდენ მინისტრ პრეზიდენტთან და მოითხოვეს სამხედრო ხარჯების შემცირება, ამასთანავე პროტესტი განაცხადეს სამხედრო ზეგრის დროს გაგძელების გამო. მინისტრ პრეზიდენტმა უპასუხა: შვეციის ხალხმა კიდევ ბევრი უნდა ხარჯოს სახელმწიფოს შეიარაღებაზეო.

**ბელგია.** ბელგიის დეპუტატთა პალატამ დაასრულა მსჯელობა მთავრობის მიერ შემოტანილი კლერიკალური კანონპროექტის შესახებ. ამ კანონპროექტის ძალით, ბელგიაში საყოველთაო სწავლა უნდა შემოიღონ, მაგრამ ხალხი შკოლაზე სასულიერო წოდების გავლენას კი აძლიერებს. პარლამენტის ოპოზიცია ამ კანონპროექტის წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ეწეოდა. კლერიკალებმა ისარგებლეს ხმის სიმრავლით და უარყვეს ოპოზიციის ყოველი შესწორება. ოპოზიციამ ასეთი შესწორება შეიტანა: აეკრძალოს მასწავლებელთ სალვთო სჯულის საგნის პოლიტიკურ მიზნათ გამოყენება, მაგრამ კლერიკალებმა ესეც კი არ უარყვეს.

**შვეცია.** სტეფას მინისტრთა კაბინეტი გადადგა და მეფემ ახალი კაბინეტის შედგენა გეიერს მიანდო. მოელიან რიკსდაგის დათხოვას და ახალი არჩევნების დანიშვნას. მეფის შესახებ ბევრნაირი ხმა ვრცელდება. ამბობენ: მეფის მოკვლა აქვთ განზრახულიო და იმასაც ამბობენ, ვითომ მეფეს სამეფო ტახტიდან გადადგომა განეზრახოს. მეფის სასახლის წინ დიდძალი ხალხი გროვდება და მეფეს მისასალმებელ სიტყვას ეუბნება.

**მთაშავეთი.** მთაშავეთის მეფემ ნიკოლოზმა გახსნა სკუპჩინის ახალი სესიის სხდომები. პირველ სხდომაზე ილაპარაკეს საგარეო პოლიტიკასა და ბალკანეთის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნეს, რომ მთაშავეთის ნაციონალური ინტერესების დაცვა დამოკიდებულია სერბიასთან მჭიდრო კავშირზეო.

# დაბა-სოფლები.

**დ. ახალსენაკი** (ოდიში). დიდიხანია, ახალსენაკის მცხოვრებ მოვაჭრეებს სასაფლაო არა ჰქონდათ, რის გამოც დიდს გაჭირვებაში იყვნენ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მემამულემ თავადმა ხუტუნია მიქელაძემ, რომელმაც ორ ქცევაზე მეტი მიწა შემოსწირა ქალაქს სასაფლაოთ ნატოხამოს წმ. გიორგის ეკლესიასთან, რომელიც ქალაქს ვერსნახევრის მანძილზეა მოშორებული. ქალაქმა მოინდომა საეტლო გზის გაკეთება და თან ადგილობრივ მრევლთაც სთხოვეს—გზის გაკეთებაში შემწეობა მიეცათ. მრევლმაც თავისი მხრით გზა უკვე გააკეთა იმ პლანით, რაც ქალაქმა მისცა. ქალაქმაც თავისი მხრით გზის გაკეთების თავდარიგი მიანდო ერთს ვისმე, რომელმაც გაკეთების მაგიერ გააფუჭა გზა, დაღორღო-ხოღროგებულია და ზედ ტალახისა და ტბის მორევი სდგას. ამგვარათ დღეს არა მარტო ქალაქს და მრევლს მოესპო გზა, არამედ რამდენსამე სოფელსაც, რომელთა საუ-მეს ის შეადგენდა. მიცვალებულის გასვენება ეკლესიაში უხიფათოდ არ შეი-

---

დენტურ ცხოვრებას, ისევ გიმნაზიელია, ისევ ამზადებს ლექციებს.

ბევრჯერ ეხვეწენ ამხანაგ-მეგობრები, წასულიყვენ, მათთან —გაევლოთ სადმე, მაგრამ ვერ დაიყოლიეს, თავისას განაგრძობს, აგონდება მამის დარიგება: „ჯერ სწავლა და შემდეგ საზოგადო საქმეზე ზრუნვაო“!

ნახარჯს თითო შაურობით იწერს, რომ დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინოს მშობლებს და პირნათლად გამოვიდეს მათთან.

არავითარი გართობა არ არსებობს მისთვის გარეშე ლექციებისა და სამეცნიერო წიგნების კითხვისა. ამისთვის არც დრო აქვს და არც საშვალება. გაცნობითაც კი, თითქოს, ყველას ერიდება, რადგან, რაც მეტ ნაცნობებს ვიყოლიებ, იმდენი მეტი დრო დამეკარგება ტყვილუბრალოთო. ცხოვრობს ასკეტურათ...

ამხანაგებმა მას „განდეგილი“ უწოდეს...

გიგლას კი არათუ რცხვენია, თავიც მოაქვს ასეთი სახელწოდებით, ოღონდ დასახულ მიზანს მიაწიოს, გაახაროს მოხუცი მშობლების გული.

ამხანაგები არ ყავს მას, მისი ამხანაგ მეგობრები—ლექციები და წიგნებია.

მეტი არა იცის-რა...

მთელი ცხრა თვის განმავლობაში ერთხელ გამოვიდა საზოგადოებაში და ეს იყო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ გამართული საღამო...

აქ კი აღარ ჩამორჩა ამხანაგებს და, რითაც შეეძლო, თავისი წვლილი შეიტანა, მონაწილეობის მიღებით.

ასე გაატარა ცხრათვე და მაისის უკანასკნელ რიცხვებში დაბრუნდა მშობლებთან.

***

გიგლას მოსკოვში წასვლისავე დაიწყეს მშობლებმა მდიდარი საცოლოს ძებნა, რომ ცოლის მზითვით დაესრულებია გიგლას უნივერსიტეტი.

სხვა წყარო არ მოეძებნებოდა; მათ არა ებადათ და არც ვინმე ნათესავი ყავდათ ისეთი, რომ დახმარებოდა, ვერც სტიპენდია უშოვეს სადმე...

ეძებდენ შვილისთვის საცოლეს სოფლათ, ქალაქში, მაგრამ „შესაფერი“ ვერსად ნახეს: „ზოგს ცხვირი ქონდა მოღრეცილი, ზოგს ჰლექიანის ფერი ედვა ჯერ კიდევ გასათხოვარს და ოჯახისა და ქმარშვილის მოვლა რომ დააწვებოდა კისერზე, მაშინ რა დღე დაადგებოდა, ზოგი ტანადი არ იყო, ზოგი ძლიერ გართული ქალი იყო და ზოგიც სულ ლობიო...

დიდიხნის კვლევა-ძიებას შემდეგ ერთ გასათხოვარზე შეჩერდა ორივე ცოლქმარი.

ეს იყო მევახშე თხილაძის ქალი—ელენე.

მათი აზრით, სწორეთ ის იყო შესაფერი სარძლო: „ინსტიტუტი დასრულებული აქვს, ოჯახის მუყაითია და არც „კავალრებში გალაზღანდარავებული“.

მოციქული ჯერ არ მიეგზავნათ, მაგრამ დარწმუნებული იყვნენ, რომ გიგლას არ დაიწუნებდენ სასიძოთ, აკი თხილაძეც სწორეთ გიგლასთანა ღარიბათ აზდილს ეძებდა.

მევახშის მოყრობა სრულიადაც არ ეთაკილებოდათ... ისინი ქალსა სთხოვდენ, მზითევით გიგლა სწავლას დაასრულებდა მორჩა დაგათავდა.

ცოლქმარი მოსწონდათ ასეთი პლანი, ჯერჯერობით გიგლას კი ვერ უბედავდენ გამჟღავნებას.

ერთ საღამოს პატარა შეზარხოშებული მოვიდა გიგლას მამა, მოისვა გვერდით უკვე მეორე კურსის სტუდენტი შვილი და მუდარის კილოთი მიმართა:

— შვილო, გიგლა, მოვიფიქროთ რამე, გამოვსძებნოთ რამე სახსარი; ხომ უნდა კვლავ წახვიდე უნივერსიტეტში ამ შემოდგომაზე? ცდა, შვილო, ბედის მონახვერეა; აღარც შენა ხარ ისე ბავში, რომ არ ჩაუფიქრდე ამ საქმეს. კარგათ ხედავ, რომ შავი დღისათვის შეგროვილი გროშებიც დაილია, შენც გვირჩიე რამ გამოყრუებულ მოხუცებს, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ?

ისე მოულოდნელი იყო გიგლასთვის მამის საუბარი, რომ ვერა უპასუხა-რა, დაიბნა...

— რომ შეიძლებოდეს, ვეყმოდით ვისმე ორივე ცოლქმარი და შენ კი შუა წყალში არ დაგტოვებდით... სახლი ჩვენ არ გვაბადია და სხვა რამ ძვირფასი ნივთები, რო დავაგირაოთ, და სხვა რა ვქნათ, აბა, გვირჩიე, შვილო?...

წუთით გაჩუმდა, თავი ასწია და გიგლას ჩააშტერდა თვალებში, თითქოს უნდა წაეკითხა იქ, იქონია რამ გავლენა მშობელი მამის აღსარებამ თუ არაო.

არც მოტყუებულა.

გაფითრდა გიგლა...

— მამა, მამა!.

ერთი კი სთქვა და აქვითინდა...

ვერც მამამ გაუძლო შვილის ამგვარ გულჩვილობას და მანაც ბავშივით ხმამაღლა ტირილი მორთო...

იქით კიდევ ამდეხანს გაჩუმებული დედა ატირდა

— იფიქრე რამე შვილო დაგვაყენე გზაზე და ჩვენც ისე მოვიქცევით,—ტირილით სთქვა დედამ.

გიგლას გამოსავალი გზა ვერ ენახა...
ცოლის შერთვას როგორ გაიფიქრებდა, როდესაც ჯერ კიდევ დიდი გზა ქონდა გასავლელი ასეთი ნაბიჯის გადადგმამდი.

მწუხარებამ მოიცვა გიგლას არსება სიხალისე დაეკარგა...

მთელ კვირას სახლიდან გარეთ არ გასულა, აღარაფერი ართობდა...

**გ. მუმლაძე.**

(დასასრული ხვალ).

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კირხნერისა და სიტინის ამხანაგობისა. ქართული გედლის და ჭიბის **კალენდრები**

**ტყავის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя). **კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.**

ძლება. თვით დაბის ქუჩებიც არა სახარბიელო სანიტრულ მდგომარეობაში გახლავთ. თვით დაბაში ისეთი ჭაობებია ქუჩებში, რომ ღამით კი არა, დღისითაც ადამიანს გავლა არ შეუძლია. არც ისეთი ღარიბი ვართ, რომ ორიოდე ქუჩის გაკეთება ვერ შევსძლოთ, მაგრამ, აბა, ვის შესტკივა გული!

ეს ერთი კვირაა, რაც სანიტრელი ამიდებია. აგერ აყვავდება მთა-ბარი.

**ბარომეტრი.**

---

**ს. ზოდი** (ზემო იმერეთი). 3 იანვარს შემდგარ ზოდის ახლად გახსნილი სამკითხველოს წევრთა კრების მონდობით, მოწიწებით მოვუწოდებ სხვადასხვა ქვეყანაში გასულთ, ჩვენს მეზობლებს და ყველა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთ, აგრეთვე ქიათურაში მყოფთ საკულტურო დაწესებულებისადმი გულშემატკივართ, ამ ახლად გაფურჩქნულ ჯერ ხელვიწრო სამკითხველოს სასარგებლოთ არ დაიშურონ თავისი წვლილი ფულათ, წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით და ნივთათაც. ასევე მივმირთავ ყველა რუსულსა და ქართული ჟურნალ-გაზეთების და გამოცემების ორგანოებს არ მოაკლონ თავისი გულუხვი ყურადღება მათის გამოცემების მოწოდებით უფასოთ, ანუ ფასდაკლებით მაინც. დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ სამკითხველო და მისი დამაარსებელი წრე არ ივიწყებენ დიდათ პატივცემულთ ბ.ბ. ილარიონს, პოლკოვნიკ. კოსტ. გამყრელიძეთ, ოქრო სამხარაძეს და გიორგი ცერცვაძეს, რომელთაგანაც სამკითხველო სრულ თანაგრძნობას იმედოვნებს. აქვე პატივი მაქვს ვაუწყო გულით მონაწილე საზოგადოებას, რომ სამკითხველოს უსახსრობის გამო, წელს დაკვეთილი აქვს მხოლოდ სამი გაზეთი: „თემი“, „სიმართლის ხმა“ და „ერი“.

**სამკითხველოს გამგე ს. ბარათაშვილი.**

# კვლავ სვანეთზე.

პატიოსნება, თავისი სინიდისის წმინდათ დაცვა, სახარბიელო ვაჟკაცობა, მტერთან მტრობა და მოყვარესთან სავსე ტაბაკი, გულგაშლილობა და პურმარილი სვანეთში გაშეფებულია. ნეტავი ბევრს იმ კარგ მხარეს, რომელსაც აქ შეხვდება კაცი, დანარჩენი ჩვენი თანამემამულე ქართველები არ იყონ მოკლებული... დიახ, ხასიათის სიმტკიცე, სამაგალითო ვაჟკაცობა და პიროვნების ხელშეუხებლობა ამშვენებს სვანეთს... როცა მათ ცხოვრებას ვეცნობით, ვსწავლობთ, შეიძლება, ამა თუ იმ მოვლენამ განცვიფრება გამოიწვიოს ჩვენში. ყოველთვის ჩემს წერილებში ამ სახარბიელო მხარეს სვანეთის მკვიდრთა ვაქცევდი ყურადღებას და ასე ვსწერდი.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჭორიკანობა, აზრის უკუღმართად გაგება, სიტყვის გადაბრუნებ-გადმობრუნება, სხვისი აბუჩათ და სამასხროთ აგდება, უკბილო ლაზღანდარობა ზოგიერთ მოინტელიგენტო, „აფხანიკ“ იმერლების კუთნილებას შეადგენს... და ამიტომ არც გასაკვირველია, რომ თითქმის ყოველთვის აქიდან იმერეთში სამუშევრათ წასული სვანები, დაბრუნებისას აღელვებული და გაჯავრებული მოდიან... რაოდა, ვარლამ იმერელი გაზეთებში გვაგინებსო... ზოგი ამბობს არა ის კარგი კაცია... გვიყვარს, ვუყვარვართ, ის ჩვენზე არაფერ ცუდს არ დასწერდაო... მოსულები ეუბნებიან: როგორ არა, ჩვენი ყურით გავიგონეთ, გაზეთს კითხულობდენ. ყველამ სამასხროთ აგვიღო... ყველა ჩვენ დაგვცინოდა და სხვაო... ხშირათ მომხდარა, რომ ასეთი დაცინვისთვის, სამასხროთ აგდებისთვის ჯაჭვის ხიდთან არსებულ დუქნებში არა ერთისთვის ჩაუმტვრევიათ სვანებს ცხვირი... ნამდვილათ კი, თუ ვინმე განძრახ არ იბრმავებს თვალს, სვანებს დასაცინებელი არაფერი სჭირს... პირიქით ბევრს სახარბიელოსაც შეხვდებით მათ ცხოვრებაში... და გიკვირს კი, რომ ასე უპატრონოთ დაგდებულ ხალხს ეს სულის სიწმინდე კიდევ შერჩენიათ. სვანეთს არ აქვს გზა, ჩამწყვდეულია, ყოველს კულტურულ ქვეყანას მოწყვეტილია ამ მხრით. დახმარებასა და შვე-

ლას საჭიროებს-მეთქი, ვამბობდი, და ვიტყვი კიდევ...

**ვარლამ იმერელი.**

# პასუხი

**მამა ბუაჩიძის ღია ბარათზე.**

„ერის 23-ე ნუმერში მოთავსებულია ღვდლის მიხეილ ბუაჩიძის ღია ბარათი, რომლითაც უცნაური ავტორი ბრალს გვდებს მე, ვლადიმერ არეშიძეს და ლეონტი ქიპაშვილს, ვითომც ჩვენ ვიყოთ ავტორი „ერში“ მის წინააღმდეგ მოთავსებული წერილისა. მამაო მიხეილ! ეს თქვენი პატარა წერილი არაფერს არ შეიცავს, გარდა სრული ულოღიკობისა და აზრების ერთმანეთში დომხალივით არევ-დარევისა; შეიძლება კაცმა რომელსამე ეჭვს კატეგორიული ხასიათი მისცეს? როდესაც თქვენ ლაპარაკობთ, რომ წერილის ავტორი ერთი ჩვენგანია, მაშინ უეჭველათ ხელთ უნდა გქონდესთ ამის დამამტკიცებელი საბუთი, და თუ ეს ასეა, ავტორსაც უნდა იცნობდეთ; თუ ავტორს ვერ იცნობთ, ეს იმის ნიშანია, რომ თქვენი განცხადება, საბუთზე კი არა, ეჭვზეა დამყარებული, მაშასადამე, თქვენ არაფერი უფლება არა გაქვთ ბრალდება ჩვენ მოგვახვიოთ.

ეჭვებზე დამყარებული, თქვენ „დანოსჩიკებს“ გვიწოდებთ, თუ ძალაუნებურათ არ მივიღებთ ჩვენ თავზე წერილის ავტორობას; ან კიდევ რა შუაშია აქ „დასელობა“, ასეთებიც რომ ვიყოთ? თვით იცით, რომ დასელობა საქმეს არ შეეხება, მაგრამ, ალბათ, თქვენმა გესლიანმა გულმა არ დაგაყენათ, და ეს სიტყვა განგებ იხმარეთ, რომ რაიმე ზიანი მოგვაყენოთ.

ყველაფერს თავი დავანებოთ, რა საჭიროა თქვენთვის ავტორის სახელი? თქვენ შეგიძლიათ პრესის საშვალებით იმართლოთ თავი და გასცეთ ღირსეული პასუხი თქვენს საწინააღმდეგო წერილის ავტორს, მაგრამ, ალბათ, სუსტათ გრძნობთ თავს და გინდათ სხვა გზით გაუმკლავდეთ ავტორს. წერილის ბოლოში თქვენ ამბობთ: „დე, საზოგადოებამ იცოდეს, ვისთან მქონია საქმეო“. მე თქვენთან არაოდეს არ მქონია საქმე და არც მექნება ოდესმე, შორს ჩემგან თქვენისთანა ადამიანები!

**სეფე ლეკაშ.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ზრეგაძე.**

18 დეკემბრიდან

**დაიწყო ხელის მოწერა**

**ია ეკალაძის (ი. ცანცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად**

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

**ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით: ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი **აპ. ცინცაძე.**

1914 **წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

წელიწადი მეხუთე. **„ნაკადული“** წელიწადი მეათე

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).

თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზდილთათვის 12 წიგნი.**

**36 სურათი,** წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრათ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები“,**

(მრავალი სურათით), **გიორგი ანთელავასა.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**თფილისში:** **„ნაკადულის“** რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათუმში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **დაბლაცხუში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან; **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ქავჭანიძესთან.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

როგორც ვიცით, გასულ წელს აბრეშუმის თესლი ბაზარზე საზოგადოთ ნაკლები იყო. წელსაც, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, თესლი შარშანდელზე კიდევ უფრო ნაკლებია. შარშან ბევრმა ჩვენმა მყიდველმა გვისაყვედურა, თუ რატომ არ გავაგებიეთ, ან თესლი არ შევუნახეთ. ამიტომ ყველა

**პასხალიდის**

**აბრეშუმის თესლის**

მყიდველთა საყურადღებოთ ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დაიბევონ, ვინაიდან თესლი დაუბევებლათ არავის შეენახება და, მაშასადამე, ბოლოს საყვედურიც უადგილო იქნება.

**ჩვენი ადრესი:** ბათუმი, მარინსკი პროსპექტ, საკუთარი სახლი 10.—ერთადერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლის ბათუმის, ქუთაისისა და თფილისის გუბერნიებში **მათე გაბრიელის ძე რუსაძე.**

**ამერიკული ვაზების სანერგე ქუთაისში**

**„კლდე-ყდურული“**

ყოველთვის ურჩევს მიწის ნიადაგის მიხედვით შესაფერი დაძირებული ვაზების არჩევას, აფრთხილებს მემამულეებს **რუპესტრისზე** დამყნილი ვაზების ხმარებისაგან, რომელიც იძლევა ნაკლებ მოსავალს და ღვინოც ღირსებით ნაკლები ხარისხის გამოდის, და რომელიც იწვევს ყველაზე მეტს **სოკოს ავათმყოფობას** საძირეზე. დამზადებული გვაქვს გასაყიდათ: ცოლიკოური, კრახუნა, ციცკა, წვანე, რქაწითელი, საფერავი, ოცხანური და ბევრი სხვა ჩვენებური და ევროპიული ჯიშისა და აგრეთვე სავობე საჭმელი ყურძნის ჯიშის, რომლებიც დამყნილია სხვადასხვა საძირეზე ყოველნაირი ნიადაგის მიწებისათვის. სადვინე ღვინის ვაზების ფასი—1000—65 მან. პრეისკურანტი იგზავნება უფასოთ.

გრძელდება ხელისმოწერა

**„სასოფლო გაზეთზე,“**

24-ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.

**მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.**

წლიური ფასი . . . . 4 მან.

ნახევარი წლის . . . . 2 მან.

**ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:**

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

**ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით:** Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

**„სახალხო გაზეთი“**

(წელიწადი მეხუთე)

1914 **წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა გვარიანით სურათებიანი დამატება**

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“ ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გაზეთის ფასი**

**თფილისში და მის გარეთ.**

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | —15შ. |

**საზღვარ გარეთ.**

| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.**

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული

**„ცხოვრება და მეცნიერება,“**

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

**შინაარსი.**

**პრ.—დოც: ს. ავალიანი.** დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. **ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე:** საგუბარი ტვინის ფუნქციებზე. **პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი:** **ნორმალურ ანატომიის შესავალი** (უჯრედი და ქსოვილი). **ორდინატორი გინეკოლოგ კათედრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე:** ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. **სტუდენტი ზ. ქავთარაძე:** ანაბიოზი. **სტ. ქ. რაჭველიშვილი.** სუბარი ხელოვნების შესახებ. **სტ. ს. ასლანიშვილი.** სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. **სტ. გ. კარბელაშვილი.** ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) **სტ. დ.** ჟღენტი. ბავშის აღზდა. **სტ. გ. ურუშაძე.** რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

**გ. მორდამისა და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო

ქარხნებისგან

**მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

# რკინის გზა.

| ქუთაისიდან მიდის | | | ქუთაისს მოდის. | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. 6 წ. | **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. — |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. | | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. 28 წ. |
| **ათონს:** | სახალხო დილის | 5 საათ. 10 წ. | **ბათომიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 21 წ. | **ფოთიდან:** | საავარ. დილ. | 10 საათ. 3 წ. |
| **ფოთს:** | საავარაკო დღის | 4 საათ. 22 წ. | | სახალხო დღით | 1 საათ. 20 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 10 წ. | | სახალ. ღამით | 1 საათ. 26 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. 21 წ. | | | |
| **შორაპანს:** | საავარაკო დღით | 4 საათ. 57 წ. | **შორაპნიდან:** | საავარ. დილის | 9 საათ. 31 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. 50 წ. | **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. 11 წ. |

**ბილეთის ფასი:**

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.